ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2012 წლის 10 სექტემბერი

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

„ ხონის მუნიციპალიტეტის ტეროტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 მარტის №9 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართ №1-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი:

„მუხლი 7^1“. მიწაზე ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მრავალსართულიან ბინებზე, საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.”.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **რ. ფარცხალაძე**